

კანონის „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის
ჩატარების შესახებ“ იმპლემენტაციის შედეგების გავლენა ფსიქიკური
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე

ნინო ქელესაევი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა
და ხელოვნების ფაკულტეტზე ფსიქიკური ჯანმრთელობის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო პროგრამა: ფსიქიკური ჯანმრთელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ეკა ჭყონია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მოწვეული მასწავლებელი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ქელესაევი

2018 წლის 10 ივნისი

აბსტრაქტი

შესავალი: მსოფლიო მოსახლეობაში მილიარდ ადამიანს აქვს სხვადასხვა ხარისხის შეზღუდული შესაძლებლობა. მათ აქვთ ნაკლები ხელმისაწვდომობა ჯანდაცვის სერვისებზე და არ არის დაკმაყოფილებულია მათი ჯანდაცვის საჭიროებები. მნიშვნელოვანი ბარიერია შშმ პირების საზოგადოებაში ინტერგაცია და გაბატონებული სტიგმა. ჯანმო ხელ უწყობს სტრატეგიებს, რათა უზრუნველყოს შშმ პირების მიერ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვითცნობიერება და ჯანდაცვის პერსონალის მიერ შშმ პირების უფლებებისა და ღირსებების დაცვა. ამ პრობლემების გადაჭრის მიზნით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს სწორი პოლიტიკა, რომლის ერთ-ერთი მიმართულება გაეროს კონვენციის რატიფიცირების შედეგად ნაკისრი პასუხისმგებლობის - მეურვეობის მოდელის მხარდაჭერის ინსტიტუტით ჩანაცვლების როლი და ფუნქციონირებაა. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომის მიზანია კანონის „ფსიქოსოციალური საჭიროებიდან გამომდინარე ექსპერტიზის ჩატარების შესახებ“ იმპლემენტაციის შედეგების გავლენის კვლევა ფსიქიკური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე. **მეთოდოლოგია:** რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში განხორციელდა 20 პირის გამოკითხვა, მათ შორის 10 მხარდასაჭერი და 10 მხარდამჭერი პირის, პირისპირ ინტერვიუების მეთოდით, წინასწარ შედგენილი ღია და დახურული კითხვებით შემდგარი სტრუქტურირებული კითხვარის გამოყენებით. კვლევის არეალს წარმოადგენდა შპს ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი. **დასკვნა:** მიუხედავად დადებითი ცვლილებებისა, არსებობს ხარვეზები როგორც საკანონმდებლო, ასევე პრაქტიკის განხორციელების კუთხით. მხარდამჭერი და მხარდასაჭერი პირები არ არიან სათანადოდ ინფორმირებულები კანონის შესახებ. ინფორმირება უმეტეს შემთხვევაში ხდება იმ პირების მიერ, რომლებიც თავად არ არიან გარკვეული ამ საკითხში. კანონის შესახებ არასათანადო ინფორმაციის გამო არ ხდება კანონით გათვალისწინებული ყველა სიკეთის სათანადოდ ამუშავება და, შესაბამისად, მხარდამჭერი პირი სრულად ვერ სარგებლობს კანონით მინიჭებული უფლებებით.

ძირითადი სამიეზო სიტყვები: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, მეურვეობა, მხარდაჭერის ინსტიტუტი, უფლებები

Abstract

Introduction: In the world billion people have different quality of disability. They have less access to health care services and their health needs are not satisfied. Stigma and integration of the people with disability in society is an important barrier. WHO (World Health Organization) promotes strategies to ensure that people with disability are aware of their own health and protection of the right and dignity of person with disability by healthcare personal. To solve this problems, it is important to correct policy of the state, one of which is the responsibility by ratifying of the United Nations Convention – the role and function of replacement the guardianship by the supported decision-making model. Purpose of the paper is to study the impact of implementation of the law “About of Make Expertise Based on psychosocial Needs” on the people with mental disabilities. **Methodology:** Quantitative research conducted survey of 20 people, including of 10 supporter and 10 supporting persons, using the method of face to face interview by the structured questioner consisting of opened and closed questions. Research area was Mental Health Centre of Tbilisi. **Conclusion:** Despite positive change, there are the gaps in both legislative and practical implementation. Supporters and supporting people are not properly informed about the law. In most cases, information is made by the person who are not well knowing about this matter. Due to improper information about of the law, it is not properly implemented all the good deeds provided by law and therefore the supporting person does not fully enjoy the right granted by law.

Key words: person with disability, guardianship, supported decision-making model, right.

მადლობა

მადლობა შპს ფსიქური ჯანმრთელობის ცენტრის თანამშრომლებს, განსაკუთრებით ექიმ-ფსიქიატრ ხათუნა ჭყოიძეს და კვლევაში მონაწილე პირებს გაწეული დახმარებისთვის და კვლევის მიმართ გულისხმიერი დამოკიდებულებისთვის.

განსაკუთრებული მადლობა კვლევის სამეცნიერო ხელმძღვანელს ეკა ჭყონიას გაწეული დახმარების, რეკომენდაციებისა და მხარდაჭერისთვის.